დანართი №4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ევროპის უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 24-26 ივნისი, 2026 წელი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 28 ივლისი, 2026 წელი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ია მოსაშვილი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ვახტანგ ბეროშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

მარიამ დარბაიძე, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

მელიტა მელიქიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ირაკლი გაგუა, გაგუას კლინიკა, საქართველო

2026 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ევროპის უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	5330
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 5273 შეჩერებული: 2364
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 4281 შეჩერებული: 2252
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: 228 მათ შორის აფილირებული: მოწვეული: 767 სამეცნიერო:
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	02.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	2021 წლის 16 ივნისი, №583093
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	02.06.2027
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	14 000

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ წარმოადგენს კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის მიერ შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში განხორციელდა 2026 წლის 24–26 ივნისს.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, თანდართულ მტკიცებულებებსა და საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. ასევე, ორჯერ გაიმართა ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა შეფასების მიდგომები, განაწილდა პასუხისმგებლობები და შეთანხმდა ვიზიტის მიმდინარეობის ფორმატი.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის მმართველ საბჭოსთან, რექტორთან და ვიცე-რექტორებთან, აკადემიური საბჭოს წევრებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან, დეკანებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, საერთაშორისო სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სასწავლო კორპუსები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, კლინიკები და სხვა სასწავლო ინფრასტრუქტურა.

შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, დამატებით გამოთხოვილი მასალები და ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის პირობებში უნივერსიტეტის რესურსების საკმარისობას, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობას.

შეფასება განხორციელდა საქართველოს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუების, ვიზიტის დროს მიღებული მტკიცებულებებისა და ექსპერტთა პროფესიული შეფასების საფუძველზე. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი მიგნებები, რის შემდეგაც მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ბოლო ავტორიზაციის შემდეგ ევროპის უნივერსიტეტმა განახორციელა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური განვითარება, რომელმაც არსებითად გააძლიერა მისი შესაძლებლობები სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის ხარისხიანად მომსახურების მიმართულებით. შეფასების პროცესში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა დაუკავშირა ინსტიტუციურ განვითარებას და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსების სისტემური შეფასების საფუძველზე.

მნიშვნელოვან პროგრესად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის ახალი ფაკულტეტების ჩამოყალიბება, მმართველობითი მოდელის გაძლიერება, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების უფრო ეფექტიანი გადანაწილება და ხარისხის უზრუნველყოფის, სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი ერთეულების ურთიერთ კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა. ასევე აღსანიშნავია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მართვას, PDCA ციკლის გამოყენებას, კმაყოფილების კვლევების შედეგებზე რეაგირებასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

პროგრესია საგანმანათლებლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად განავითარა სასწავლო, კლინიკური და კვლევითი ინფრასტრუქტურა, მათ შორის სიმულაციური სწავლების შესაძლებლობები, კლინიკური პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ არსებული რესურსები უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე, ისე გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის ხარისხიან მომსახურებას. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა გურამიშვილის №86-ში მდებარე ახლად შეძენილი კამპუსი, სადაც ვიზიტის პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული სივრცე ჯერ არ იყო დასრულებული და არ გამოიყენებოდა სასწავლო პროცესისთვის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მისი რესურსები არ გაითვალისწინა იმ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებში, რომლებზეც დაეფუძნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შეფასება, ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია ობიექტურად შეფასდეს მისი ექსპლუატაციაში შესვლის ვადები, საბოლოო კონდიცია და სტუდენტების მიღებისთვის მისი მზადყოფნა.

დადებითად შეფასდა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გაფართოებაც. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს Erasmus+ პროგრამის ფარგლებში მრავალ ევროპულ უნივერსიტეტთან, სისტემურად ავითარებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას და ზრდის საერთაშორისო სტუდენტებისა და პარტნიორობის მასშტაბს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტთა ადგილების გაზრდის განაცხადის მომზადების პროცესში შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეაფასა არსებული რესურსები, განსაზღვრა განვითარების საჭიროებები და დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ინფრასტრუქტურის გაფართოება, კლინიკური ბაზების განვითარება და ადამიანური რესურსების გაძლიერების დაგეგმვა.

რეკომენდაციების შეჯამება[1]

1.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა 14 000 სტუდენტამდე კონტინგენტის ზრდა ასახოს სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში, როგორც ეტაპობრივი და გაზომვადი ინსტიტუციური განვითარების გეგმა, განსაზღვროს ზრდის პერიოდი, ყოველწლიური და ფაკულტეტების/პროგრამების მიხედვით სამიზნე მაჩვენებლები, ზრდის თითოეულ ეტაპზე გადასვლის წინაპირობები და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, სტუდენტური და სხვა მხარდაჭერის რესურსების განვითარების მაჩვენებლები.

2.1.1. სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკვანძო მმართველობითი და ადმინისტრაციული ვაკანტური პოზიციების დროული შევსება, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სასწავლო მიმართულებით ვიცე-რექტორისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების პოზიციების დაკომპლექტება, რათა გაძლიერდეს მართვის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესების კოორდინაცია და ეფექტიანობა.

2.1.2. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14 000-მდე გაზრდის პირობებში უნივერსიტეტმა ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში მკაფიოდ ასახოს გაზრდილ კონტინგენტთან დაკავშირებული ოპერაციული, ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების მართვის რისკები, განსაზღვროს მათი პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისა და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობა.

4.2.1 უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს QMS-ში ასახული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მონაცემების რეგულარული გადამოწმება, ვალიდაცია

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

და ფაქტობრივ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე შეუსაბამობების დროული გამოვლენისა და გამოსწორების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა.

4.2.2 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა არ დაუშვას სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შედეგად აკადემიური, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის თანაფარდობის ისეთი გაუარესება, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტუდენტთა მომსახურების ხარისხზე, აკადემიურ მხარდაჭერასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობაზე. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა უნდა განხორციელდეს პერსონალის რაოდენობის პროპორციული ზრდისა და შესაბამისი მონიტორინგის პირობებში.

7.1.1 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ახალი კამპუსის ექსპლუატაციაში სრულად ჩართვამდე უზრუნველყოს მისი ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო გარემოს სრული მზადყოფნა, რათა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურება განხორციელდეს ხარისხის სტანდარტების სრული დაცვით.

რჩევების შეჯამება

2.1.1. სასურველია, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ დაწესებულებამ ჩაატაროს შიდა ფუნქციური აუდიტი, რათა შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მუშაობს განახლებული სტრუქტურა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში.

2.2.1. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს სპეციალური მონიტორინგის ფორმა, რომელიც პერიოდულად ასახავს სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გავლენას მომსახურების ხარისხზე, პერსონალის დატვირთვასა და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაზე.

2.3.1. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14 000-მდე გაზრდის პირობებში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოწვეული პერსონალის ცნობიერების სისტემური ამაღლება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების, პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის შემოწმების პროგრამული უზრუნველყოფის-Turnitin-ის ეფექტიანი გამოყენებისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურების შესახებ, რათა სწავლებისა და შეფასების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები ერთგვაროვნად იყოს დაცული.

4.2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის დატვირთვის დაგეგმვისა და აღრიცხვის სისტემაში ცალკე გამოყოს კვლევითი საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური საქმიანობის სრულყოფილ დაგეგმვასა და კვლევითი პროდუქტიულობის მონიტორინგს სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პირობებში.

5.2.1. სასურველია უნივერსიტეტმა დამატებით გააძლიეროს სარეკრეაციო სტუდენტური სივრცეები და შეაფასოს ყველა კამპუსზე კვების ობიექტის (კაფეტერიის) საჭიროება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტური გამოცდილების შემდგომი გაუმჯობესება.

6.1.1 სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს საერთაშორისო რეცენზირებად და ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობის ზრდაზე ორიენტირებული მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის კონსულტაციები, ტრენინგები, მენტორობა და საერთაშორისო თანაავტორობით კვლევების წახალისება.

- **საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)**

  –

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილი** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*X განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილზე ნაკლები** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **არსებული და არა მოთხოვნილი**[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.*

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ დამატებით განმარტა რიგი საკითხები და წარმოადგინა არსებული პრაქტიკის აღწერა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი არგუმენტები არ ცვლის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული მიგნებების საფუძვლებს.

1.2.1. რეკომენდაცია ეხება არა რესურსების არსებობას, არამედ 14 000 სტუდენტამდე კონტინგენტის ზრდის სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში ერთიანი, ეტაპობრივი, გაზომვადი ინსტიტუციური განვითარების გეგმად ასახვას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უცვლელად ტოვებს.

2.1.1. და 2.1.2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიცია ამ ნაწილში არ იქნა გაზიარებული და დასკვნის პროექტში წარმოდგენილი შეფასება, ანალიზი და რეკომენდაციები უცვლელად დარჩა.

2.3.1. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა. წარმოდგენილმა დამატებითმა განმარტებებმა და დასაბუთებამ დაადასტურა, რომ რეკომენდაციის სახით მითითებული საკითხი არ წარმოადგენს ისეთი ხასიათის ნაკლოვანებას, რომელიც პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობაზე არსებით გავლენას ახდენს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია შეცვალა რჩევით, ხოლო დასკვნის შესაბამის ნაწილში განხორციელდა შესაბამისი რედაქციული ცვლილებები.

4.2.1. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ ცვლის რეკომენდაციის საფუძველს, რადგან რეკომენდაცია მიმართულია დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში ისეთი მექანიზმების გაძლიერებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფს გამოყენებული მონაცემების QMS-ში რეგულარულ გადამოწმებას, შეუსაბამობების დროულ გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია უცვლელად დატოვა.

4.2.2. წარმოდგენილი განმარტებები არ ცვლის რეკომენდაციის საფუძველს, რადგან რეკომენდაცია პრევენციულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14 000-მდე ზრდის პროცესში პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობის სისტემურ მონიტორინგსა და პერსონალის რაოდენობის პროპორციულ ზრდას, რათა შენარჩუნდეს საგანმანათლებლო პროცესის, სტუდენტთა მომსახურებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია უცვლელად დატოვა.

7.1.1. ვინაიდან დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას და ადასტურებს მისი შესრულების მზადყოფნას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დამატებითი ცვლილების შეტანის საჭიროება არ არსებობს და რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია
1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ აკმაყოფილებს *X ნაწილობრივ აკმაყოფილებს* *☐ არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი. ასევე შეფასების პროცესში გამოყენებულ იქნა ადგილზე ვიზიტის, ინტერვიუებისა და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია. ასევე, შეფასების პროცესში გამოყენებულ იქნა ადგილზე ვიზიტის, ინტერვიუების, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამების მიხედვით სტუდენტთა მისაღები რაოდენობების მრავალწლიანი პროგნოზების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია. უნივერსიტეტის მისია ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული და ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზებას, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებაში მონაწილეობას. ამდენად, საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოება ზოგადი შინაარსით უკავშირდება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არასაკმარისად არის განმარტებული, როგორ უკავშირდება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კონკრეტულად 14 000-მდე გაზრდა მისიის თითოეული შესაბამისი დებულების განხორციელებას და რა გავლენას მოახდენს ასეთი მასშტაბის ზრდა უნივერსიტეტის აკადემიურ პროფილზე, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომასა და საგანმანათლებლო ხარისხზე. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და ინტერნაციონალიზაციას, სასწავლო პროცესის, კვლევის, სტუდენტური სერვისებისა და ორგანიზაციული მართვის განვითარებას. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებები. თუმცა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში 14 000 სტუდენტამდე ზრდა არ არის წარმოდგენილი, როგორც ერთიანი, ეტაპობრივი და გაზომვადი ინსტიტუციური განვითარების პროექტი. კერძოდ, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ზრდის სრული პერიოდი, ყოველწლიური ინსტიტუციური სამიზნე მაჩვენებლები, ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით დაგეგმილი განაწილება და აღნიშნული მაჩვენებლების კავშირი უნივერსიტეტის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო როლთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების მიხედვით ცალკეული მრავალწლიანი პროგნოზები წარმოდგენილია განაცხადში, ასევე, ისინი წარმოადგინა უნივერსიტეტმა ექსპერტთა მიერ დამატებით გამოთხოვილ მასალებში, თუმცა ისინი არ არის კონსოლიდირებული ერთიან ინსტიტუციურ ზრდის გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მონიტორინგის შიდა მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სტუდენტთა ადგილების განსაზღვრა. წარმოდგენილი იყო შესაბამისი პროცედურები, ანალიტიკური მასალები და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობის დამადასტურებელი ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცედურების არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს 14 000 სტუდენტამდე ზრდის სრულყოფილ ოპერაციულ გეგმას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ იკვეთება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის ზრდის წლიური მაჩვენებლები, სტუდენტური სერვისების გაფართოების ეტაპები, ინფრასტრუქტურის განვითარების ვადები და დასრულების ინდიკატორები, ასევე საერთაშორისო სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის მომსახურებისთვის საჭირო ადამიანური, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი რესურსების განვითარების კონკრეტული გეგმა. ინტერვიუების დროს ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდის დაგეგმვა ეფუძნება არსებული ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების შეფასებას, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროგრამების განვითარების ტენდენციების ანალიზს.

ვიზიტისა და ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის მომზადებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობასა და კოლეგიურობას ადასტურებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საჭიროების დამადასტურებელი ზოგადი არგუმენტები და მასალები, ასევე დადასტურდა შესაბამისი შიდა დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმების არსებობა. მიუხედავად აღნიშნულისა, მოთხოვნილი ზრდის მასშტაბის გათვალისწინებით, სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში არასაკმარისად არის კონკრეტიზებული 14 000 სტუდენტამდე ზრდის ეტაპობრივი, გაზომვადი და რესურსებზე დაფუძნებული განხორციელების გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *უნივერსიტეტის მისია და 2026–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *2026–2028 წლების სამოქმედო გეგმა;*
- *სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;*
- *სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა;*
- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი;*
- *მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებები;*
- *ინტერვიებიდან მიღებული ინფორმაცია.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- *1.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა 14 000 სტუდენტამდე კონტინგენტის ზრდა ასახოს სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში, როგორც ეტაპობრივი და გაზომვადი ინსტიტუციური განვითარების გეგმა, განსაზღვროს ზრდის პერიოდი, ყოველწლიური და ფაკულტეტების/პროგრამების მიხედვით სამიზნე მაჩვენებლები, ზრდის თითოეულ ეტაპზე გადასვლის წინაპირობები და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, სტუდენტური და სხვა მხარდაჭერის რესურსების განვითარების მაჩვენებლები.*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
–

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ აკმაყოფილებს *X ნაწილობრივ აკმაყოფილებს* *☐ არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
შპს ევროპის უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრავს მართვის ორგანოების ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, არჩევა/დანიშვნის წესებს, გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას, საქმისწარმოებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების წესს. *უნივერსიტეტის მართვის სისტემა ეფუძნება ინსტიტუციურ დებულებასა და შიდა რეგულაციებს. მტკიცებულებებში წარმოდგენილია ევროპის უნივერსიტეტის დებულება, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 11 მარტის №3/2 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამართლებრივ სტატუსს, მიზნებს, მართვის ძირითად პრინციპებს, სტრუქტურულ მოწყობასა და მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს. ასევე მოქმედებს ევროპის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დებულება, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 12 მარტის №57 ბრძანებით და არეგულირებს მმართველი საბჭოს საქმიანობის წესს, კომპეტენციებსა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს.* *შპს ევროპის უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევა და დანიშვნა ხორციელდება ინსტიტუციური დებულებითა და შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში მკაფიოდ არის გამიჯნული მართვის, ადმინისტრირების, აკადემიური და მხარდაჭერითი ფუნქციები. უნივერსიტეტის სტრუქტურა, დებულება, მმართველი საბჭოს დებულება და პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და დელეგირების წესი ქმნის ორგანიზაციული მართვის სამართლებრივ საფუძველს. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს „პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და დელეგირების წესი“, დამტკიცებული რექტორის 2020 წლის 19 მარტის №76 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს უფლებამოსილებების მკაფიო გადანაწილებას, ფუნქციების დელეგირების წესის განსაზღვრას და მმართველობითი პროცესების უწყვეტობას. ასევე მოქმედებს „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“, დამტკიცებული რექტორის 2020 წლის 20 მარტის №88 ბრძანებით, რაც აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი არა მხოლოდ*

განსაზღვრავს მართვის სტრუქტურას, არამედ ახორციელებს მისი ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებას.

შპს ევროპის უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისა და მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ. უნივერსიტეტში 2023 წლის სექტემბრის შემდეგ განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები: მედიცინისა და სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტების გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა ოთხი დამოუკიდებელი ფაკულტეტი - მედიცინის ფაკულტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი. ეს ცვლილება ინსტიტუციურად ლოგიკურია, ვინაიდან უნივერსიტეტში სტუდენტთა მზარდი რაოდენობა, პროგრამების დივერსიფიკაცია და დარგობრივი სპეციფიკის ზრდა საჭიროებს უფრო სპეციალიზებულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ მართვას.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ორი ახალი ვიცე-რექტორის პოზიციის დამატებაც: ვიცე-რექტორი შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების განვითარების მიმართულებით და ვიცე-რექტორი სტრატეგიული კომუნიკაციებისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით. ასევე ვაკანტურია კიდევ ერთი ვიცე-რექტორის თანამდებობა სასწავლო პროცესის მიმართულებით. აღნიშნული ცვლილება მიუთითებს, რომ უნივერსიტეტმა გაზრდილი მასშტაბის პირობებში გამოყო ის მიმართულებები, რომლებიც განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ დატვირთვას ატარებს: მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება, შესყიდვები, სერვისების მართვა, სტუდენტური მხარდაჭერა, სტრატეგიული კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა. მოცემული ცვლილება ქმნის წინაპირობას, რომ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის ფუნქციური დატვირთვა მეტად კონცენტრირდეს აკადემიური პროცესისა და საგამოცდო სისტემის მონიტორინგზე.

სტრუქტურულ და ინსტიტუციურ დონეზე დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს რამდენიმე ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ერთეული, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. აღნიშნული ორგანიზაციული კონფიგურაცია ქმნის ხელსაყრელ საფუძველს ხარისხის უზრუნველყოფის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ურთიერთდაკავშირებული და კოორდინირებული მართვისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ერთეულების თავმოყრა ხარისხის განვითარების მიმართულებით იძლევა შესაძლებლობას, ხარისხის უზრუნველყოფა არ განიხილებოდეს მხოლოდ კონტროლის ან შეფასების მექანიზმად, არამედ ჩამოყალიბდეს როგორც ინსტიტუციური განვითარების, აკადემიური პროცესების გაუმჯობესების, სწავლების ინოვაციური პრაქტიკის მხარდაჭერისა და კვლევითი კულტურის გაძლიერების ერთიანი სისტემა. ასეთი მიდგომა, სათანადო ფუნქციონირების პირობებში, ხელს უწყობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ინტეგრირებას როგორც საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების, ისე პერსონალის განვითარების, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების პროცესებში.

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14000-მდე გაზრდის მოთხოვნა დაწესებულების მხრიდან განხილულია როგორც ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი და არა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდის პროცესი. განაცხადში მითითებულია, რომ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი კომპონენტია და წარმოადგენს ინსტიტუციური მართვის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული მიდგომა შესაბამისობაშია იმ ლოგიკასთან, რომ გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის პირობებში უნდა შენარჩუნდეს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი, ისე სტუდენტთა წარმატებისთვის აუცილებელი ადმინისტრაციული, აკადემიური და მხარდაჭერითი გარემო.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის პროცესში პროგრამების მოთხოვნადობის, არსებული რესურსების, ჩარიცხვის ტენდენციებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებას. განაცხადისა და ინტერვიურების მიხედვით, სტრატეგიული განვითარების სამსახურმა ჩაატარა მოკვლევა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ტენდენციებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გამოიკვეთა სტუდენტთა ჩარიცხვის მზარდი ტენდენცია და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საჭიროება. აღნიშნული საკითხი ასახულ იქნა უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაშიც, კერძოდ, „უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება“ მიმართულების ფარგლებში დაემატა ღონისძიება - „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა“, რომელიც შენარჩუნებულია 2026-2028 წლების სამოქმედო გეგმაშიც.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ვრცელი პრეზენტაცია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პრეზენტაციაში ასახული იყო როგორც კონტინგენტის ზრდის სამიზნე ნიშნულები, ისე ადმინისტრაციული, აკადემიური, მატერიალური და მხარდაჭერითი რესურსების განვითარების ხედვა. აღნიშნული პრეზენტაცია ეფუძნებოდა უნივერსიტეტის დოკუმენტს - „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები, დაგეგმვის პრინციპები, ინდიკატორები და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები. დოკუმენტი ასახავს უნივერსიტეტის მცდელობას, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა დაუკავშიროს არა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შენარჩუნებას, ადამიანური რესურსების საკმარისობას, ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს, სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემებს, ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას.

ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის - 14 000 სტუდენტის- პირობებში უნივერსიტეტმა განსაზღვრა თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლი და პასუხისმგებლობა გაზრდილი მასშტაბის მართვის კონტექსტში. კერძოდ, წარმოდგენილი იყო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, პასუხისმგებლობის სფეროები, ანგარიშვალდებულების ხაზები, სამუშაო დატვირთვის განაწილების პრინციპები და შიდა საკომუნიკაციო არხები. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია, ვინაიდან სტუდენტთა კონტინგენტის არსებითი ზრდა საჭიროებს არა მხოლოდ ფიზიკური და ადამიანური რესურსების რაოდენობრივ ზრდას, არამედ ინსტიტუციური მართვის პროცესების ხარისხობრივ გაძლიერებასაც.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასების გაზომვადი ინდიკატორები, რაც ქმნის შესაძლებლობას, მომავალში დაწესებულებამ მოახდინოს დაგეგმილი ზრდის პროცესის მონიტორინგი, მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტირების განხორციელება. ინდიკატორებზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას და შესაბამისად, საჭირო ხდება გადაწყვეტილებების მიღება მონაცემებზე, სისტემურ ანალიზსა და პროგნოზირებად მექანიზმებზე დაყრდნობით.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს ვაკანტური თანამდებობები და საჭირო ადამიანური რესურსები, რომლებიც უკავშირდება სტუდენტთა გაზრდილი

რაოდენობის პირობებში მართვისა და მომსახურების პროცესების ეფექტიანად განხორციელებას. აღნიშნული თავისთავად მიუთითებს, რომ დაწესებულებამ წინასწარ შეაფასა ადამიანური რესურსების საჭიროება.

ამასთან, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში გარკვეულ მნიშვნელოვან პოზიციებზე ფიქსირდება ვაკანტური ადგილები, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიცია, ვიცე-რექტორის პოზიცია სასწავლო მიმართულებით, ასევე ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების/სტრუქტურული პოზიციები. აღნიშნული ვაკანსიები საჭიროებს დროულად შევსებას, რათა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში სრულად იყოს უზრუნველყოფილი მართვის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული მხარდაჭერის პროცესების უწყვეტობა და ეფექტიანობა.

შპსევროპის უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება შიდა ხარისხის კულტურის განვითარების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებს. განაცხადის მიხედვით, ინსტიტუციური თვითშეფასება და სტანდარტებთან შესაბამისობის აღწერა ხორციელდება PDCA ციკლის ლოგიკით, რაც გულისხმობს დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას და გაუმჯობესებას. განაცხადში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ PDCA ფორმატი ინსტიტუციას აძლევს შესაძლებლობას უკეთ წარმოაჩინოს არსებული შიდა ხარისხის კულტურა და მუდმივი გაუმჯობესების მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს სასწავლო პროცესს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობასა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობას. კმაყოფილების კვლევების ჩატარება რეგულირდება „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოთი“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის სისტემური შეგროვებისა და ანალიზისთვის.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული კვლევები არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების შეგროვებით. უნივერსიტეტში ხორციელდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგებზე რეაგირების ანგარიშების მომზადება. პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის ფარგლებში გამოვლენილი შედეგების საფუძველზე ტარდება საინფორმაციო შეხვედრებიც, რაც აჩვენებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია პრაქტიკულ რეაგირებასა და გაუმჯობესებაზე.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტში ასრულებს საკოორდინაციო და მონიტორინგის ფუნქციას. იგი იღებს ინფორმაციას სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან განხორციელებული რეაგირებების შესახებ და იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ რეაგირების ანგარიშებს. ეს ქმნის დახურულ ხარისხის ციკლს, სადაც შეფასების შედეგები უკავშირდება შემდგომ ქმედებებს, პასუხისმგებელ ერთეულებსა და გაუმჯობესების პროცესს.

უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაცია რეგულირდება დოკუმენტით „ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მისი განხორციელებისა და შეფასების მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 4 მაისის დადგენილებით, სხდომის ოქმი №9. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების პრიორიტეტებს, საერთაშორისო თანამშრომლობის, აკადემიური და სტუდენტური მობილობის, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

დადებითად ფასდება, რომ უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციას განიხილავს არა როგორც ცალკეულ აქტივობას, არამედ როგორც ინსტიტუციური განვითარების ნაწილს. განაცხადის მიხედვით, უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით შედეგების შეფასება და გაანალიზებული მონაცემები საჭიროების შემთხვევაში მიეწოდება საერთაშორისო ურთიერთობების

სამსახურს რეაგირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით შედეგების მუდმივ მონიტორინგს, შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2026 წლის აპრილის მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტი Erasmus-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს 77 ევროპულ უნივერსიტეტთან და სისტემურად მუშაობს ინტერუნივერსიტეტული თანამშრომლობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. აღნიშნული ადასტურებს უნივერსიტეტის აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში და ქმნის ხელსაყრელ პირობებს როგორც სტუდენტთა, ისე პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების გაძლიერებისთვის.

დაწესებულებაში არსებობს ბიზნესუწყვეტობის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის ინსტიტუციურ საფუძველს კრიზისულ ან საგანგებო ვითარებაში უნივერსიტეტის ძირითადი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. ბიზნესუწყვეტობის გეგმის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდას.

ამასთან, სტუდენტთა კონტინგენტის 14 000-მდე გაზრდა დაწესებულებისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ განვითარების შესაძლებლობას, არამედ ზრდის ოპერაციულ, ადმინისტრაციულ, ინფრასტრუქტურულ, ტექნოლოგიურ და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ რისკებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ბიზნესუწყვეტობის გეგმაში მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული სწორედ გაზრდილ კონტინგენტთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების შესაბამისი მექანიზმები.

კერძოდ, ბიზნესუწყვეტობის გეგმაში სასურველია შეფასდეს სასწავლო პროცესის შესაძლო შეფერხების, საინფორმაციო სისტემების გადატვირთვის, სტუდენტთა მომსახურების შეფერხების, აუდიტორიებისა და ლაბორატორიების პიკური დატვირთვის, ადმინისტრაციული პერსონალის გადატვირთვის, საერთაშორისო სტუდენტთა ნაკადების მართვის, საგამოცდო პროცესების ორგანიზებისა და კრიზისულ სიტუაციებში სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკები.

აღნიშნული რისკების წინასწარი იდენტიფიცირება, მათი ალბათობისა და შესაძლო გავლენის შეფასება, ასევე შესაბამისი პრევენციული და რეაგირების მექანიზმების გაწერა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სტუდენტთა რაოდენობრივი ზრდა არ აისახოს უარყოფითად სასწავლო პროცესის ხარისხზე, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებზე, ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობასა და უნივერსიტეტის საერთო ინსტიტუციურ მდგრადობაზე.

უნივერსიტეტში საქმისწარმოება რეგულირდება „ევროპის უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 10 მარტის №50 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის, შიდა და გარე კორესპონდენციის, ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზებისა და ოფიციალური დოკუმენტაციის მართვის სამართლებრივ საფუძველს.

ასევე მოქმედებს „ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა რეესტრის წარმოების წესი“, დამტკიცებული რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის №126 ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტური მონაცემების სისტემურ აღრიცხვას. ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობას დამატებით აძლიერებს „ევროპის უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სერვისები/მართვის ელექტრონული სისტემები და მათი განვითარების მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 მარტის №98 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტში მოქმედ ელექტრონულ სერვისებსა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმებს.სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში უნივერსიტეტს აქვს მზაობა სდოკუმენტბრუნვის, რეესტრების, ელექტრონული სერვისებისა და პასუხისმგებლობების დელეგირების მოწესრიგებული სისტემის უზრუნველყოფისთვის.

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, აღნიშნული მექანიზმები უნივერსიტეტში მოქმედებს და ქმნის ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმართვის საფუძველს.

წარმოდგენილი განაცხადის ანალიზისა და ვიზიტის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით გააჩნია შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები და პლაგიატის პრევენციაზე ორიენტირებული პროცედურები. უნივერსიტეტში მოქმედებს „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება როგორც სტუდენტებზე, ასევე აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე.

აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სტუდენტთა მიერ შესრულებულ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომებში პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები. ასევე განსაზღვრულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები, რაც ადასტურებს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის სისტემა უნივერსიტეტში ვრცელდება აკადემიური პროცესის ყველა ძირითად მონაწილეზე.

დაწესებულება პლაგიატის პრევენციის მიმართულებით იყენებს როგორც რეგულაციურ, ისე საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ მექანიზმებს. განაცხადის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სისტემატურად ტარდება სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები თემაზე „აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია პლაგიატის სახეობების, უნივერსიტეტში არსებული მექანიზმებისა და პლაგიატის ამომცნობი პროგრამის Turnitin-ის შესახებ.ასევე დადებითად უნდა შეფასდეს, რომ უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტარდება ტრენინგები და შეხვედრები ეთიკის, კვლევის ეთიკის, აკადემიური თავისუფლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების საკითხებზე. განაცხადში მითითებულია შეხვედრები შემდეგ თემებზე: „თვისებრივი კვლევის მეთოდები და კვლევის ეთიკა“, „აკადემიური თავისუფლება“, „სამეცნიერო ეთიკა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში“. ასევე, 2024 წლის 17 ივნისს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვებინარი თემაზე „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენება სასწავლო პროცესში“.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა საჭიროება, რომ განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის ცნობიერება პლაგიატის პრევენციის, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებისა და პლაგიატის შემოწმების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საკითხებზე კიდევ უფრო გაძლიერდეს. აღნიშნული გარემოება არ ამცირებს უნივერსიტეტში არსებული რეგულაციებისა და მექანიზმების მნიშვნელობას, თუმცა მიუთითებს მათი პრაქტიკული გამოყენების უფრო თანმიმდევრული და ერთგვაროვანი უზრუნველყოფის საჭიროებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი;*
- *სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა;*
- *სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;*
- *2026-2028 წლების სამოქმედო გეგმა;*

- *ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პრეზენტაცია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;*
- *ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურული ცვლილებების ამსახველი მასალები;*
- *ვაკანტური თანამდებობების შესახებ ინფორმაცია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;*
- *ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელი დოკუმენტები;*
- *ბიზნესუწყვეტობის გეგმა;*
- *ინტერვიუები ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

2.1.1. სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკვანძო მმართველობითი და ადმინისტრაციული ვაკანტური პოზიციების დროული შევსება, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სასწავლო მიმართულებით ვიცე-რექტორისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების პოზიციების დაკომპლექტება, რათა გაძლიერდეს მართვის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესების კოორდინაცია და ეფექტიანობა.

2.1.2. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14 000-მდე გაზრდის პირობებში უნივერსიტეტმა ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში მკაფიოდ ასახოს გაზრდილ კონტინგენტთან დაკავშირებული ოპერაციული, ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების მართვის რისკები, განსაზღვროს მათი პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისა და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

2.1.1. სასურველია, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ დაწესებულებამ ჩაატაროს შიდა ფუნქციური აუდიტი, რათა შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მუშაობს განახლებული სტრუქტურა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში.

2.2.1. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს სპეციალური მონიტორინგის ფორმა, რომელიც პერიოდულად ასახავს სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გავლენას მომსახურების ხარისხზე, პერსონალის დატვირთვასა და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაზე.

2.3.1. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14 000-მდე გაზრდის პირობებში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოწვეული პერსონალის ცნობიერების სისტემური ამაღლება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების, პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის შემოწმების პროგრამული უზრუნველყოფის-Turnitin-ის ეფექტიანი გამოყენებისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურების შესახებ, რათა სწავლებისა და შეფასების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები ერთგვაროვნად იყოს დაცული.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

X აკმაყოფილებს ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება და განვითარება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ პროცედურებსა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. პროგრამების განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემები, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რაც ქმნის პროგრამების სისტემური განვითარებისა და გაუმჯობესების საფუძველს. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამების განვითარება ხორციელდება რეგულარული შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან. ამასთან, წარმოდგენილია პროგრამების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ განახლებასა და მათ შესაბამისობას თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან. სტუდენტთა ადგილების დაგეგმილი ზრდის გათვალისწინებით, წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამების ხარისხიანი განვითარებისათვის აუცილებელი მექანიზმები. ამასთანავე, მიზანშეწონილი იქნება პროგრამების განვითარების პროცესის პარალელურად გაგრძელდეს აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების ეტაპობრივი გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების განახლების პროცესში აკადემიური საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობას, ინდივიდუალური აკადემიური მხარდაჭერის შესაძლებლობების გაფართოებას და პროგრამების განვითარების პროცესის კიდევ უფრო ეფექტიან განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია. შეფასება განხორციელდა იმის განსაზღვრის მიზნით, თუ რამდენად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ხარისხიანი სწავლების განხორციელებას სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია მოქმედი ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად და ინარჩუნებს შინაარსობრივ ლოგიკას, კურსების თანმიმდევრულობასა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურას. წარმოდგენილი

მასალები ადასტურებს, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა არ იწვევს პროგრამების სტრუქტურულ ცვლილებას და არ ცვლის პროგრამების აკადემიურ შინაარსს.

განაცხადში წარმოდგენილია თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა მიღების ეტაპობრივი გეგმა, რომელიც განაწილებულია აკადემიური წლების მიხედვით. აღნიშნული მიდგომა ქმნის შესაძლებლობას, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა განხორციელდეს ეტაპობრივად და შესაბამისობაში იყოს უნივერსიტეტის ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებთან. ეს დადასტურდა ვიზიტის დროს, ინტერვიუებისას.

ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, ფაკულტეტების წარმომადგენლებმა და პროგრამების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად დაგეგმილია დამატებითი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა, სასწავლო ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ორგანიზება მცირე ჯგუფებში და კლინიკური/პრაქტიკული ბაზების გაფართოება იმ პროგრამებისთვის, სადაც ეს აუცილებელია. წარმოდგენილი განმარტებები და დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სხვადასხვა პროგრამის სპეციფიკას და სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში გეგმავს შესაბამისი სასწავლო პროცესის ორგანიზებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი და განხორციელების დაგეგმილი მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ზრდის პირობებშიც. წარმოდგენილი ინფორმაცია, ვიზიტის დროს მიღებულ განმარტებებთან ერთად, ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს გააზრებული აქვს პროგრამების განხორციელების სპეციფიკა და შესაბამისი ღონისძიებები დაგეგმილი აქვს თითოეული პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებს, შეფასების ფორმებსა და პროცედურებს. წარმოდგენილი მასალები მიუთითებს, რომ შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დაკავშირებულია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, ხოლო შეფასების პროცესის ანალიზი გამოიყენება როგორც სტუდენტთა მიღწევების, ისე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის.

დოკუმენტაციით ასევე დასტურდება, რომ სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა მოიცავს შესაბამისი მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში გამოყენებას, რაც ქმნის საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს.

სტუდენტთა ადგილების ზრდის პირობებში წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ შენარჩუნდეს სწავლის შედეგების შეფასების ობიექტურობა, გამჭვირვალობა და პროგრამებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი;*
- *საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო გეგმები;*
- *პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;*
- *ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

–
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
–

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ აკმაყოფილებს *X ნაწილობრივ აკმაყოფილებს* *☐ არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია პერსონალის მართვისა და განვითარების სისტემა, რომელიც მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის, შეფასების, პროფესიული განვითარების, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება მრავალკომპონენტიანი სისტემით, რომელშიც მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელები, დეკანები, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, საგამოცდო ცენტრი და სტუდენტები. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც პერსონალის განვითარების, ისე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. *წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი აკადემიური თანამდებობების მიხედვით. აღნიშნული დატვირთვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სასწავლო პროცესის განხორციელებას, არამედ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო დროისა და რესურსის არსებობას. ამასთანავე, აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულია სამეცნიერო აქტივობების მინიმალური მოთხოვნები, ხოლო მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის – პროფესიული განვითარების ვალდებულებები.* *ამასთან, პერსონალის დატვირთვის ცხრილის განხილვისას, გამოვლინდა შეუსაბამობები QMS გაზიდან ამოღებულ სახელობით რეპორტსა და უნივერსიტეტის რეალურ მაჩვენებლებს შორის, რაც უნივერსიტეტის მხრიდან არ დადასტურდა და საჭიროებს გადამოწმებას, ისევე, როგორც პერიოდულ მონიტორინგს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს რეალურ მონაცემებთან.* *განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაცია და უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ადასტურებს, რომ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ადამიანური რესურსის შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე. მეთოდოლოგია ითვალისწინებს როგორც პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, ისე*

ადმინისტრირების პროცესში ჩართული თანამშრომლების რესურსს და ადგენს შესაბამის სამიზნე ნიშნულებს, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა.

ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის შესაბამისად დაგეგმილია დამატებითი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვა იმ პროგრამებზე, სადაც ამის საჭიროება წარმოიშობა. ასევე წარმოდგენილი ინფორმაციით, ბოლო პერიოდში გაზრდილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. თუმცა QMS-ში ასახულ დატვირთვის მონაცემებსა და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის გამოვლენილი შეუსაბამობების გამო, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა სრულად დაედასტურებინა, რომ არსებული პერსონალის რაოდენობა და ფაქტობრივი დატვირთვა ყველა პროგრამის ჭრილში სრულად შეესაბამება მოთხოვნილი სტუდენტური კონტინგენტის მომსახურების საჭიროებებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტს გააზრებული აქვს ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებები და წარმოდგენილი მიდგომები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან განხორციელებას სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის მონაცემების სიზუსტე, პერიოდული ვალიდაცია და რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები ადამიანური რესურსების მიმართულებით და დაადგინა, რომ სტუდენტთა რაოდენობის 14 000-მდე ზრდის შემთხვევაში, ცალკეულ პოზიციებზე დაგეგმილია სტუდენტთა და პერსონალის თანაფარდობის მნიშვნელოვანი ცვლილება. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ადამიანური რესურსების განვითარების ზოგადი ხედვა, წარმოდგენილი მაჩვენებლები ქმნის რისკს, რომ სტუდენტმა ვერ მიიღოს შესაბამისი მომსახურება უნივერსიტეტისაგან, რადგან დღეს თუ პერსონალის თანაფარდობაა 1/150, შემდეგ გახდება 1/400. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა შემცირდეს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი აკადემიური, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების ხარისხი და ეფექტიანობა. ამიტომ, აუცილებელია აღნიშნული თანაფარდობების სისტემური მონიტორინგი და ადამიანური რესურსების დროული კორექტირება სტუდენტთა რაოდენობის ზრდის თითოეულ ეტაპზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილების პრინციპები და შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს სასწავლო დატვირთვის დაგეგმვის მექანიზმების არსებობას, თუმცა პერსონალის დატვირთვის წარმოდგენილ ფორმატში მკაფიოდ არ არის გამიჯნული კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი დრო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოება ამ ეტაპზე არ ქმნის რისკს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასთან მიმართებით, პერსონალის დატვირთვის სისტემაში კვლევითი კომპონენტის უფრო მკაფიო ასახვა ხელს შეუწყობს როგორც აკადემიური საქმიანობის სრულყოფილ დაგეგმვას, ისე სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში კვლევითი პროდუქტიულობის ეფექტიან მონიტორინგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი;*
- *აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;*
- *აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;*
- *აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, პირადი საქმეები;*
- *ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
4.2.1 უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს QMS-ში ასახული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მონაცემების რეგულარული გადამოწმება, ვალიდაცია და ფაქტობრივ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე შეუსაბამობების დროული გამოვლენისა და გამოსწორების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა. *4.2.2 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა არ დაუშვას სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შედეგად აკადემიური, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის თანაფარდობის ისეთი გაუარესება, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტუდენტთა მომსახურების ხარისხზე, აკადემიურ მხარდაჭერასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობაზე. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა უნდა განხორციელდეს პერსონალის რაოდენობის პროპორციული ზრდისა და შესაბამისი მონიტორინგის პირობებში.*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
4.2.1 სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის დატვირთვის დაგეგმვისა და აღრიცხვის სისტემაში ცალკე გამოყოს კვლევითი საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური საქმიანობის სრულყოფილ დაგეგმვასა და კვლევითი პროდუქტიულობის მონიტორინგს სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პირობებში.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

X აკმაყოფილებს ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
დოკუმენტაციისა და შეხვედრების შედეგად იკვეთება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ადმინისტრირების პროცესი რეგულირდება შიდა ნორმატიული აქტებით და კონკურენტული შერჩევის მექანიზმებით. მიღების პროცესში გამოიყენება კომისიური შეფასება და სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებისთვის (მათ შორის სოციალურად დაუცველი აპლიკანტებისთვის) განსაზღვრულია პრიორიტეტული მიდგომები გარკვეულ პროგრამებსა და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების პროცედურები რეგულირებულია დოკუმენტირებული წესებით და იმართება დიგიტალიზებული სისტემების დახამრებით, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების გამართულ მუშაობას ადამიანური რესურსების ნაკლები დატვირთვით. სტუდენტთა შეფასებით, აღნიშნული პროცესები პრაქტიკაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. *სტუდენტთა წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია მმართველ სტრუქტურებში (მათ შორის საბჭოს დონეზე), რაც მიუთითებს სტუდენტური პერსპექტივის ინტეგრაციაზე გადაწყვეტილების მიღების*

პროცესში. ასევე აღინიშნა გაცვლითი პროგრამების რეგულაციების განახლება, რომელიც მიზნად ისახავს შერჩევის პროცესის სტანდარტიზაციასა და სამართლიანობის გაძლიერებას.

საკონსულტაციო მომსახურება სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომია, რის შესახებ ინფორმაცია მათ სემესტრის დასაწყისშივე მიეწოდებათ. ლექტორებს განსაზღვრული აქვთ საკონსულტაციო საათები, რომელსაც სტუდენტები რაიმე მასალის დამატებით დასამუშავებლად იყენებენ. აკადემიური პერსონალი გამოთქვამს მზაობას გაზრდილი კონტინგენტის საფუძველზე საკონსულტაციო საათების გაზრდისთვის.

უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა მრავალმხრივია და მოიცავს აკადემიურ, სოციალურ, ფინანსურ და კარიერულ კომპონენტებს. ფუნქციონირებს სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების კონკურსი, სტუდენტური კლუბების სისტემა, სპორტული და კულტურული აქტივობები, ასევე საერთაშორისო გაცვლითი და სტაჟირების პროგრამები (მათ შორის Erasmus+ *და პარტნიორი კლინიკები/უნივერსიტეტები).*

მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სტუდენტთა უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება პროგრამული და სერვისული ცვლილებების განხორციელებაში (მაგალითად: კლინიკური როტაციების სტრუქტურის კორექტირება, შეფასების ელემენტების ოპტიმიზაცია და სერვისების გაუმჯობესება). ასევე არსებობს კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური სერვისი.

ინფრასტრუქტურულად არსებობს სიმულაციური ცენტრები, ლაბორატორიები და კლინიკური პრაქტიკის ბაზები, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკული სწავლების მხარდასაჭერად. სიმულაციურ ცენტრში შესაძლებელია ერთდროულად 10 სტუდენტის ინდივიდუალურად მომსახურება, ხოლო ცენტრის წარმომადგენელი გამოთქვამს მზაობას გაზრდილი კონტიგენტის თავისუფლად მომსახურების მიმართ.

სტუდენტთა საერთაშორისო ინტეგრაციის მიმართულებით იკვეთება აქტიური ჩართულობა გაცვლით პროგრამებში და მოკლევადიან პრაქტიკებში.

გარკვეულ კამპუსებზე იდენტიფიცირდა დამატებითი სოციალური ინფრასტრუქტურის საჭიროება, მათ შორის ერთ-ერთ კამპუსში კაფეტერიის არსებობის/გაფართოების საკითხი სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი;;*
- *ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.*
- ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურული ცვლილებების ამსახველი მასალები;
- ვაკანტური თანამდებობების შესახებ ინფორმაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- *უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- –

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

5.2.1. სასურველია უნივერსიტეტმა დამატებით გააძლიეროს სარეკრეაციო სტუდენტური სივრცეები და შეაფასოს ყველა კამპუსზე კვების ობიექტის (კაფეტერიის) საჭიროება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტური გამოცდილების შემდგომი გაუმჯობესება.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

X აკმაყოფილებს ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
შპს ევროპის უნივერსიტეტში კვლევითი, განვითარების ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ხორციელდება ინსტიტუციურად მოწესრიგებული, ფინანსურად მხარდაჭერილი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებული სისტემის ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუებიდან გაკეთებული ანალიზი აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, მხარდაჭერის, დაფინანსების, განხორციელებისა და შეფასების შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების კვლევითი პოტენციალის განვითარებაზე. *უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საფუძველია „კვლევის დაფინანსების წესი“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კვლევითი კონკურსის გამოცხადების, კვლევითი პროექტის წარდგენის, შეფასებისა და დაფინანსების ერთიან წესს. დოკუმენტი არეგულირებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების წყაროს, კონკურსის ინიცირების, საკონკურსო განაცხადის შეფასების, კომისიის ფორმირების, გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების პროცედურებს. შესაბამისად, უნივერსიტეტში კვლევის დაფინანსების სისტემა ეფუძნება საჯაროობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. განაცხადის მიხედვით, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა ფაკულტეტის მიერ გამოცხადებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის ფარგლებში წარადგინოს საპროექტო განაცხადი და მოიპოვოს დაფინანსება, ხოლო კვლევითი პროექტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად.* *კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მხარდაჭერა ძლიერდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებით, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს 2019 წლიდან. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, კვლევით პროცესებში მათი ჩართულობის წახალისება, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა, საგრანტო პროექტების მოძიება, კონსულტაციების გაწევა, თემატური ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს*

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის შეფასების სისტემის განვითარებასა და შეფასების შედეგების საფუძველზე გასაუმჯობესებელი საკითხების იდენტიფიცირებაში.

უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობს ასევე Horizon Europe-ის ოფისი, რომელიც 2022 წლიდან ფუნქციონირებს და რომლის დანიშნულებაა აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადებისა და შემდგომი მართვის პროცესში. განაცხადში ხაზგასმულია, რომ ევროპის უნივერსიტეტი პირველი კერძო უნივერსიტეტია საქართველოში, სადაც Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა. აღნიშნული მექანიზმი ქმნის დამატებით შესაძლებლობას საერთაშორისო კვლევით სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციისა და პერსონალის საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გასაძლიერებლად.

ფინანსური მხარდაჭერის კუთხით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი პროექტებისთვის საბიუჯეტო რესურსების გამოყოფას. განაცხადის მიხედვით, ბოლო ორი აკადემიური წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის გათვალისწინებული თანხები მნიშვნელოვნად გაიზარდა: 2024-2025 აკადემიური წლისთვის - 229 700 ლარი, ხოლო 2025-2026 აკადემიური წლისთვის - 621 174 ლარი. აღნიშნული ზრდა მიუთითებს, რომ დაწესებულება კვლევით საქმიანობას განიხილავს სტრატეგიულ პრიორიტეტად და ზრდის ფინანსურ რესურსს კვლევის მხარდაჭერის მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მედიცინის ფაკულტეტის მიმართულებით დაფინანსების მკვეთრი ზრდა- 65 000 ლარიდან 475 174 ლარამდე, რაც შესაბამისობაშია უნივერსიტეტში სამედიცინო და ჯანდაცვის მიმართულებით კვლევითი საქმიანობის გაძლიერების საჭიროებასთან.

უნივერსიტეტს გააჩნია შიდა კვლევითი პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების პრაქტიკაც. განაცხადში წარმოდგენილია 2019 წლიდან დაფინანსებული და განხორციელებული არაერთი კვლევითი პროექტი, მათ შორის: ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომი პირის/ყელის სიმშრალის მკურნალობასთან დაკავშირებული კვლევა; ახალგაზრდებში სისხლის დენადობის ფაქტორების კომპლექსური შესწავლა; ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის გავლენის ეპიდემიოლოგიური ანალიზი; უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევებისა და შრომის ბაზრის კვლევა; სამოქალაქო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევა და სხვა. აღნიშნული პროექტების ნაწილი დასრულდა პუბლიკაციებით, კონფერენციებზე მოხსენებებით, პრაქტიკული შედეგების დანერგვით ან სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობით. ასევე პოზიტიურად ფასდება ის გარემოება, რომ რიგ კვლევით პროექტებში ჩართული იყვნენ სტუდენტები, რაც ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას სწავლების პროცესშივე.

უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო პლატფორმები. სამართლის ინსტიტუტი ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას, ატარებს კონფერენციებს, სემინარებსა და სასწავლო კურსებს, ხოლო მისი გაზაზე გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გაზაზე გამოიცემა ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოიცემა და ფიგურირებს ისეთ საერთაშორისო ბაზებში, როგორიცაა EBSCO, ERIH PLUS, Google Scholar და Index Copernicus. ეს გარემოება ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ასევე სხვა ქართველი და უცხოელი მკვლევრების კვლევითი შედეგების გავრცელებასა და სამეცნიერო კომუნიკაციის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედებს ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი. ფაკულტეტი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმთან ერთად გამოსცემს სამეცნიერო-კვლევით ჟურნალს ,,არქეოლოგია“. ჟურნალის კვლევითი მიმართულებებია - არქეოლოგია, ისტორია, ისტორიული გეოგრაფია,

ნუმიზმატიკა, ტორევტიკა, გლიპტიკა, რელიგიის ისტორია, პალეომეტალურგია, ანთროპოლოგია და სხვ. სამეცნიერო-კვლევით ჟურნალს ,,არქეოლოგია". ჟურნალი მოიცავს პუბლიკაციებს ქართულ და ინგლისურ ენებზე

კვლევითი გარემოს განვითარებას ასევე ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები. განაცხადში წარმოდგენილია არაერთი მაგალითი, მათ შორის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია"- ICETI, ვეტერინარიის მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია AVET, მედიცინის ფაკულტეტის კონფერენციები მეანობა-გინეკოლოგიის, ინფექციური დაავადებების, კლინიკური უნარების სწავლებისა და სხვა მიმართულებებით, ასევე BIOMED 2024, სადაც ცალკე სესია დაეთმო ევროპის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მოხსენებებს. აღნიშნული აქტივობები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ქმნის აკადემიური დისკუსიის, გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის რეალურ შესაძლებლობებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მხარდაჭერა. უნივერსიტეტში მოქმედებს „სტუდენტთა კვლევის და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი", რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 4 ოქტომბრის №32893 ბრძანებით. დოკუმენტი ითვალისწინებს სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და მოკლევადიანი კვლევითი პროექტების დაფინანსებას. მისი მიზანია სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ერთიანი, სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება. განაცხადში მოცემულია კონკრეტული მაგალითები, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 2024-2025 აკადემიურ წელს გამოვლენილი ორი გამარჯვებული კვლევითი პროექტი და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 2025-2026 აკადემიურ წელს დაფინანსებული ორი კვლევითი პროექტი.

სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სამეცნიერო კვირეულებს, ვორქშოპებსა და საინფორმაციო შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა ლაბორატორიაში მუშაობა, ხარისხობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები, სამეცნიერო ჟურნალების მოძიება და შერჩევა, აბსტრაქტის მომზადება, კვლევის ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერება და კვლევითი პროცესის ნდობა. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს სტუდენტების კვლევით კომპეტენციებს და ხელს უწყობს მათ ჩართვას აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში.

სტუდენტური კვლევითი აქტივობების მხარდაჭერის თვალსაზრისით დადებითად უნდა შეფასდეს ფაკულტეტების მიერ რეგულარულად ორგანიზებული სტუდენტური კონფერენციები. უნვიერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტური კონფერენციები. სტუდენტები წარმოადგენენ კვლევებზე დაფუძნებულ მოხსენებებს, მონაწილეობენ როგორც უნივერსიტეტის შიდა, ისე სხვა ინსტიტუციების მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტების მონაწილეობა ბერლინში ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მსოფლიო ჯანმრთელობის სამიტში და ქალის მსოფლიო კონგრესის კონფერენციაში, სადაც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა პოსტერული მოხსენება საუკეთესო სამეულში მოხვდა.

კვლევითი საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით, უნივერსიტეტში მოქმედებს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მექანიზმი. ერთი მხრივ, კვლევითი პროექტების შეფასება ხორციელდება კვლევის დაფინანსების წესით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად; მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის

პროდუქტიულობისა და ეფექტურობის შეფასების პროცესში; მესამე მხრივ, შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირდება გასაუმჯობესებელი საკითხები და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ფაკულტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს წარედგინებათ ანგარიშები და წინადადებები. მტკიცებულებებად განაცხადში მითითებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის წლიური ანგარიშები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი, კვლევის დაფინანსების წესი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი, სტუდენტთა კვლევის და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი და უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

შპს ევროპის უნივერსიტეტს აქვს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, დაფინანსების, განხორციელების, მხარდაჭერისა და შეფასების სისტემური მექანიზმები. დაწესებულება უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის წახალისებას; ზრდის კვლევის დაფინანსებას; ავითარებს შიდა და გარე საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის პრაქტიკას; ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი და Horizon Europe-ის ოფისი; მოქმედებს კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო ჟურნალები და კონფერენციების პლატფორმები. კვლევითი საქმიანობის შეფასება დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან, რაც ხელს უწყობს მიღებული შედეგების ანალიზს, გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებასა და შემდგომ განვითარებას.

შესაბამისად, სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებშიც უნივერსიტეტს აქვს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული, ფინანსური და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი;*
- *სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის წლიური ანგარიშები, 2023-2024 აკადემიური წელი, 2024-2025 აკადემიური წელი;*
- *აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით);*
- *კვლევის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით);*
- *სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 16 მარტის 2021 ბრძანებით);*
- *ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კვლევის და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 4 ოქტომბრის №32893 ბრძანებით);*
- *ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტი;*
- *Horizon Europe-ის ოფისის საქმიანობის მასალები;*
- *დაფინანსებული კვლევითი პროექტების ჩამონათვალი და ანგარიშები;*
- *სტუდენტური კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების დოკუმენტაცია;*
- *უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციების პროგრამები და მასალები;*
- *უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალები;*
- *უნივერსიტეტის ვებგვერდი;*
- *ინტერვიუირების შედეგები.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

• –
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
6.1.1. *სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს საერთაშორისო რეცენზირებად და ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობის ზრდაზე ორიენტირებული მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის კონსულტაციები, ტრენინგები, მენტორობა და საერთაშორისო თანაავტორობით კვლევების წახალისება.*

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
7.3 საინფორმაციო რესურსი
7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ აკმაყოფილებს *X ნაწილობრივ აკმაყოფილებს* *☐ არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული და ვიზიტის მომენტისთვის ფუნქციონირებადი მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ქმნის სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის მხარდაჭერის მნიშვნელოვან საფუძველს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ადგილზე ვიზიტის შედეგები და ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო, კლინიკური, კვლევითი და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან განხორციელებას და სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის შესაძლებლობას. ამასთან, მოთხოვნილი 14 000-იანი ზღვრული რაოდენობის მასშტაბის გათვალისწინებით, რესურსების სრული საკმარისობა საჭიროებს ზრდის პროცესში სისტემურ და პერიოდულ მონიტორინგს. *დადებითად უნდა შეფასდეს სიმულაციური სწავლების მიმართულების განვითარებაც. განაცხადის მიხედვით, სიმულაციური ცენტრი გამოიყენება როგორც პრაქტიკული სასწავლო კურსების განხორციელებისთვის, ასევე თანამედროვე კლინიკური შემთხვევების მოდელირების, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებისა და* **OSCE**-*ის (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) ჩატარებისთვის, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა კლინიკური კომპეტენციების ობიექტურ შეფასებას.* *ასევე, უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია, რომ პრაქტიკული სწავლების მხარდასაჭერად ფუნქციონირებს* ***სიმულაციური ცენტრები, ლაბორატორიები და კლინიკური პრაქტიკის ბაზები****, ხოლო ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურა მზად არის გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის მომსახურებისთვის. სიმულაციურ ცენტრში*

შესაძლებელია ერთდროულად 10 სტუდენტის ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლება და ცენტრის წარმომადგენლების განმარტებით, არსებული რესურსები საკმარისია გაზრდილი რაოდენობის სტუდენტების მომსახურებისთვის.

განაცხადში ცალკე არის წარმოდგენილი ***პრაქტიკის ობიექტებისა და კლინიკების*** *ჩამონათვალი (ნაწილი I, თავი 5), რაც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი პრაქტიკულ სწავლებას უზრუნველყოფს პარტნიორი კლინიკებისა და პრაქტიკის ორგანიზაციების ფართო ქსელის მეშვეობით. აღნიშნული გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიცინის, სტომატოლოგიისა და ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, სადაც კლინიკური პრაქტიკა წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებელ კომპონენტს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტისას დათვალიერდა უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული კლინიკები: ჯოენის კლინიკა, ყოფილი ტრავმატოლოგის არსებული ფართი და მიქაელ მთავარ ანგელოზის კლინიკა. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა უნივერსიტეტის რამდენიმე კამპუსი და მის მფლობელობაში არსებული კლინიკური ობიექტები. მათ შორის დათვალიერდა გურამიშვილის გამზირის №86-ში მდებარე ახლად შეძენილი კამპუსიც, სადაც ვიზიტის მომენტისთვის სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით, სივრცის სრულად ექსპლუატაციაში ჩართვა დაგეგმილი იყო 2026 წლის სექტემბრისთვის. შესაბამისად, აღნიშნული კამპუსი შეფასების მომენტისთვის ვერ იქნა განხილული, როგორც სრულად დასრულებული და ფუნქციონირებადი სასწავლო რესურსი. მისი ფაქტობრივი შესაძლებლობები, საბოლოო მდგომარეობა და სტუდენტთა მომსახურებისთვის მზადყოფნა შესაძლებელი იქნება სრულად შეფასდეს სამუშაოების დასრულებისა და სივრცის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება, უპირველესად, ვიზიტის პერიოდში უკვე ფუნქციონირებად ინფრასტრუქტურას, ხოლო ახალი კამპუსის სამომავლო შესაძლებლობები განიხილება, როგორც უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების დამატებითი რესურსი და არა როგორც უკვე მოქმედი შესაძლებლობა.*

შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის მომზადების პროცესში უნივერსიტეტმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეაფასა არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსები, გამოავლინა გასაუმჯობესებელი საკითხები და განაცხადის მომზადების პროცესშივე დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის კლინიკური ბაზების გაფართოება და ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების უწყვეტ ტექნიკურ მხარდაჭერას, მათი განახლებისა და განვითარების პროცესს, ხოლო არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა შეესაბამება სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებულ საჭიროებებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ერთეულების ეფექტიან კომუნიკაციასა და ინფორმაციის მართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებული სისტემების საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვთ წვდომა სასწავლო პროცესისთვის საჭირო ელექტრონულ რესურსებსა და სერვისებზე.

უნივერსიტეტმა განაცხადში წარმოადგინა ინფორმაცია არსებული სასწავლო ფართის, ბიბლიოთეკის, სამეცნიერო/კვლევითი ლაბორატორიების, საინფორმაციო სისტემებისა და ფინანსური რესურსების შესახებ. განაცხადის მიხედვით, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ფართი შეადგენს 11 485.39 კვ.მ-ს, ბიბლიოთეკა — 1 358.41 კვ.მ-ს, ხოლო სამეცნიერო/კვლევითი ლაბორატორიები — 1 122.09 კვ.მ-ს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საგამოცდო პროცესის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებას. დათვალიერებისა და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება გამართული, უსაფრთხო და გამჭვირვალე ელექტრონული სისტემების

გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ეფექტიან ადმინისტრირებასა და მონაცემთა დაცვას.

ბიბლიოთეკის სისტემა უნივერსიტეტში მნიშვნელოვნად განვითარებულია და მოიცავს სამ ფიზიკურ ლოკაციას, გაფართოებულ სამუშაო სივრცეებს და გაზრდილ ადგილების რაოდენობას (120-150 ადგილი თითო სივრცეში). სამუშაო საათები გაზრდილია (მათ შორის 10:00-23:00 რეჟიმი ერთ-ერთ კორპუსში), რაც ზრდის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის. ინფრასტრუქტურულად ბიბლიოთეკა მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამუშაო სივრცეებსა და შესაბამის IT აღჭურვილობას. ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული ბაზები (EBSCO, Scopus, ScienceDirect), ასევე ელექტრონული კატალოგი და ინსტრუქციული მასალები. დამატებით ფუნქციონირებს ჯგუფური ოთახების ონლაინ დაჯავშნის სისტემა.

ფინანსური რესურსების შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ბიუჯეტი და სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში რესურსების უზრუნველყოფის ხედვა. მნიშვნელოვანია რომ ინტერვიუების დროს აღნიშნული იყო ფინანსური რეზერვები დეპოზიტების სახით რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მდგრადობას შესაძლო რისკების შემთხვევაში. ასევე წარმოდგენილია პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტებთან ხელშეკრულებები, სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები, ბიბლიოთეკის რესურსების განვითარების მექანიზმები და ფინანსური დოკუმენტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი;*
- *უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;*
- *ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერებული საინფორმაციო და საგამოცდო სისტემები;*
- *უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია საინფორმაციო რესურსების შესახებ;*
- *ბიუჯეტი;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ფინანსური ანგარიშგება;*
- *ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

7.1.1 *რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ახალი კამპუსის ექსპლუატაციაში სრულად ჩართვამდე უზრუნველყოს მისი ინფრასტრუქტურული, მატერიალურ- ტექნიკური და სასწავლო გარემოს სრული მზადყოფნა, რათა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურება განხორციელდეს ხარისხის სტანდარტების სრული დაცვით.*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

–

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ვახტანგ ბეროშვილი (წევრი)
3. მარიამ დარბაიძე (წევრი)
4. ირაკლი გაგუა (წევრი)
5. მელიტა მელიქიშვილი (წევრი)